ბიუჯეტის 2024 წლის აგვისტოს თვის ანგარიში

„ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 78-ე მუხლის მე-2-ე ნაწილის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №20 დადგენილებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 37 750,0 ათ.ლარით.

2024 წლის განმავლობაში განხორციელდა 2 ცვლილება.

I. **ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 ივნისის №8 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტი გაიზარდა 36 007 952, 94 ლარით.**
II. **ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 22 აგვისტოს №12 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტი გაიზარდა 4 350 811 ლარით.**

საბიუჯეტო ცვლილების გათვალისწინებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა **78 108,76** ათ.ლარით.

აგვისტოს თვის შემოსულობების ნაწილის ანალიზი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობებმა 1 სექტემბრისათვის 2023 წლის გარდამავალი ნაშთების გარეშე შეადგინა 57 136,8 ათ. ლარი რაც წლიური გეგმის 85 %-ია (წლიური დაზუსტებული გეგმა 67 181,6 ათ.ლარი). უშუალოდ აგვისტოს თვეში მიღებულია 5 989,3 ათ.ლარის შემოსავალი. მათ შორის:

2024 წლის აგვისტოს შემოსავლები:

- დღგ-ს გადასახადის შესრულება - 2 118.4 ათ.ლარი ;
- ქონების გადასახადი - 104,7 ათ.ლარი
- შემოსავალი პროცენტებიდან - 16.5 ათ. ლარი;
- მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელის შესრულება - 32.5 ათ.ლარი;
- შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში - შესრულება 5.4 ათ.ლარი;
- მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის -შესრულება - 1.2 ათ.ლარი;
- მოსაკრებელი მოსახლეობის ტერიტორიის დასუფთავებისათვის - შესრულება 35.1 ათ.ლარი;
- შემოსავალი ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან - შესრულება 231.9 ათ.ლარი;
- შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - შესრულება - 20,1 ათ.ლარი;

2024 წლის აგვისტოს თვეში მიღებულია ფინანსური დახმარება (ტრანსფერი) **3 423,5** ათ.ლარი, მათ შორის:

ა) სტიქია – 2 130,0 ათ.ლარი ;

ბ) მიზნობრივი ტრანსფერი – ათ.ლარი ;

გ) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები – 1 293,4 ათ.ლარი;

გ ა დ ა ს ა ხ დ ე ლ ებ ი (ხ ა რ ჯ ებ ი)

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გადასახდელების გეგმა შეადგენს 78 108,76 ათ.ლარს. ფაქტიურმა საკასო ხარჯებმა 2024 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით შეადგინა 49 112,5 ათ. ლარი წლიური გეგმის 62,8 % -ია. უშუალოდ აგვისტოს თვეში განხორციელდა 7 477.0 ათ.ლარის გადარიცხვები.

აგვისტოს თვეში პრიორიტეტების ფარგლებში გაწეული ხარჯი:

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯებმა შეადგინა 1 537.8 ათ.ლარი;
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის დაფინანსებამ შეადგინა 4 232.8 ათ.ლარი ;
- დასუფთავების და გარემოს დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 360.2 ათ.ლარი;
- საგანმანათლებლო ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 540.6 ათ.ლარი;
- სპორტული და კულტურული ობიექტების და ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 576.5 ათ.ლარი;
- სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინასებამ შეადგინა 216.5 ათ.ლარი;
- ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის პროგრამების დაფინასებამ შეადგინა 12.6 ათ.ლარი;

2024 წლის აგვისტოს თვეში მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდის ხარჯებმა შეადგინა 16 525 ლარი).